ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი
№გ.შ.04.08.16 04.08.2016წ.

ერთის მხრივ **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“** (შემდგომში ''შემსყიდველი'') მისი დირექტორის იოსებ ოზაშვილის სახით და **ი/მ ლიანა კვანჭილაშვილი-დიაკონიძე** (შემდგომში „მიმწოდებელი'') მისი დირექტორის მიხეილ აბრამიძის სახით, მეორეს მხრივ, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'' ქვეპუნქტითა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა'' პუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი'' თანახმაა მიაწოდოს ,,შემსყიდველს'' ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო ,,შემსყიდველი'' კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
1.2. საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი მოცემულია №1 დანართში, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **1247** (ერთი ათას ორასორმოცდაშვიდი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად საქონლის მიწოდებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
2.3. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია თბილისი, გიგო გაბაშვილის ქ. №4.
3.3. „მიმწოდებელი'' ვალდებულია ,,შემსყიდველს'' საქონელი გადასცეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურით.

4. საქონლის ხარისხი

4.1. შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს უხარისხო პროდუქციის მიწოდებით მიყენებული ზიანი სრული მოცულობით.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
   ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
   ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
5.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
   ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ,,მიმწოდებელი'' ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
   ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება.

6.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7 მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"	**ი/მ ლიანა კვანჭილაშვილი-დიაკონიძე**
მის: ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის 10 ს/კ: 205140257 ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" – კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE17TB1100000360200175	მის.: ქ.თბილისი, გიგო გაბაშვილის ქ. 4 ს/კ: 01009013043 ბანკი: კოდი: ა/ა:
იოსებ ოზაშვილი _____	დიანა კვანჭილაშვილი- დიაკონიძე _____

დ ა ნ ა რ თ ი №1

(2016 წლის 04 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №გ.შ.04.08.16 ხელშეკრულებაზე)

ქ. თბილისი 04.08.2016წ.

#	საქონლის დასახელება	კლასიფიკატორი (CPV)	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	იატაკის ტილო	39525810	20	5	100
2	იატაკის ტილო		10	3.5	35
3	ღრუბელი	39224320	20	1.15	23
4	შუმანიტი	39831250	5	12.5	62.5
5	ქლორი	24311900	3	6	18
6	პეროსი სარეცხი ფხვნილი	39831000	1	18.9	18.9
7	აოსი	39831250	15	5.5	82.5
8	სახეხი სინა	39500000	20	0.6	12
9	მაგიდის ტილო	39525810	18	3	54
10	მაგიდის ტილო		2	2.1	4.2
11	ჩაის ტილო		30	3	90
12	ნაგვის პარკი	19640000	2	5	10
13	ნაგვის პარკი		3	3.9	11.7
14	ნაგვის პარკი		1	4.1	4.1
15	ნაგვის პარკი		1	3.1	3.1
16	ხელსახოცი	3376000	16	1	16
17	ხელსახოცი		10	2	20
18	ხელსახოცი		34	1	34
19	ნაგვის პარკი	19640000	36	2.5	90
20	ტ/იხვი	39831600	4	6.8	27.2
21	ტ/იხვი		1	6.8	6.8
22	ტ/იხვი		1	6.8	6.8
23	ბლიში		1	5.75	5.75
24	საპონი სეივგარდი	39831250	2	1.1	2.2
25	საპონი სეივგარდი		2	1.1	2.2
26	საპონი სეივგარდი		2	1.1	2.2
27	ფეირი	39831000	15	2.5	37.5
28	არიელი 6 კგ.		2	30.7	61.4
29	არიელი		2	8.5	17
30	ღრუბელი	39224100	3	1.9	5.7
31	სახეხი ღრუბელი		2	2.1	4.2
32	ჩაის ტილო	39525810	1	3.6	3.6
33	ღრუბელი	39224100	3	1.15	3.45
34	პრონტო ავეჯის	24959100	20	7.7	154
35	იატაკის სითხე	39831300	20	7.3	146

36	იატაკის ტილო		8	4.5	36
37	მინის საწმენდი ტილო	39525810	8	4.5	36
					ჯამი: **1247**

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"

მის: ქ. თბილისი,
ოთარ ჩხეიძის 10
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" –
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175

იოსებ ოზაშვილი _____

"მიმწოდებელი"

ი/მ ლიანა კვანჭილაშვილი-დიაკონიძე

მის.: ქ.თბილისი, გიგო გაბაშვილის ქ. 4
ს/კ: 01009013043
ბანკი:
კოდი:
ა/ა:

ლიანა კვანჭილაშვილი-
დიაკონიძე